

კოლეჯი არსის 1 წლიანი სამოქმედო გეგმა / 2021 წელი /

მიზანი N 1: კოლეჯის სტრატეგიული განვითარება

N	ამოცანა	განხორციელების თვეები												შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი	რესურსი	
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII				
1	კოლეჯის მისიის და ხედვის კომპონენტების შეფასება	+	+											+	გაწერილი ოქმები	ხარისხის მართვის მენეჯერი, მრჩეველთა საბჭო	ადმინისტრაციული, ადამიანური რესურსი
2	დასახული ხედვის მიზნის მიღწევის შეფასება	+	+											+	გაწერილი ანალიზი	ხარისხის მართვის მენეჯერი, მრჩეველთა საბჭო	ადმინისტრაციული, ადამიანური რესურსი
3	SWOT ანალიზის შედეგების ანალიზი / ახალი შედეგი	+	+											+	გაწერილი ანალიზი	მრჩეველთა საბჭო, ხარისხის მენეჯერი	ადმინისტრაციული, ადამიანური რესურსი
4	განვლილი განვითარების გეგმის შეფასება													+	გაწერილი ანალიზი	მრჩეველთა საბჭო, ხარისხის მენეჯერი	ადმინისტრაციული, ადამიანური რესურსი
5	განვითარების გეგმის კვარტალური ანგარიშების წამოდგენა			+			+			+				+	გაწერილი ანალიზი	ხარისხის მენეჯერი	ადმინისტრაციული, ადამიანური რესურსი
6	სტრატეგიული ამოცანების დასახვა პარტნიორთა / დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციით / ჩართულობით	+	+											+	გაწერილი ანალიზი	ხარისხის მენეჯერი	ადმინისტრაციული, ადამიანური რესურსი
7	ახალი სამოქმედო გეგმის გეგმის შემუშავება	+	+												გაწერილი ოქმები	მრჩეველთა საბჭო, ხარისხის მენეჯერი	ადმინისტრაციული, ადამიანური რესურსი

მიზანი N 2: საგანმანათლებლო პროგრამები/ სასწავლო პროცესის ორგანიზება /პროგრამების განვითარება

	ამოცანა	განხორციელების თვეები												შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი	რესურსი
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII			
1	კოლეჯისთვის ადაპტირებული საგ.პროგრამებისთვის პერიოდული ბაზრის კვლევა /აქტუალობის დასაბუთება		+							+				გაწერილი შედეგები	ხარისხის მენეჯერი	ადმინისტრაციული, ადამიანური რესურსი
2	კოლეჯში ადაპტირებული საგ.პროგრამების დემინგის ციკლის მიხედვით ანალიზი						+				+			გაწერილი შედეგები	ხარისხის მენეჯერი	ადმინისტრაციული, ადამიანური რესურსი
3	მოკლევადიანი მომზ.გადამზადების პროგრამების დაგეგმარება/ განხორციელება	+	+	+						+	+			გაწერილი შედეგები	ხარისხის მენეჯერი,	ადმინისტრაციული, ადამიანური რესურსი; ფინანსური რესურსი;
4	პროგრამების /გრძელვადიანი/ფორმალური და მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების/ განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის შესაბამისობის /დატვირთვისუნარიანობის/ პროგრამის განმახორციელებელთა საკმარისობის ანალიზი						+				+			გაწერილი ანალიზი/ შედეგები	სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი,	ადმინისტრაციული, ადამიანური რესურსი;
5	პროგრამისთვის განსაზღვრული რესურსის საკმარისობის მონიტორინგი/ ანალიზი/ განახლების / მოდიფიცირების გადაწყვეტილება						+				+			ანალიზის შესახებ დოკუმენტები	სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროგრამების ხეკმძღვანელები	ადმინისტრაციული, ადამიანური რესურსი;

7	სსსმ პირების საჭიროების ადაპტირება პროგრამაზე წვდომისთვის (საჭიროებისამებრ)												საჭიროების შემთხვევაში გაწერილი დასკვნები	სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროგრამების ხელმძღვანელები	ადმინისტრაციული, ადამიანური რესურსი;
8	პროგრამების ადაპტირება დისტანციური რეჟიმისთვის /საჭიროების შემთხვევაში/	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	ადაპტირების შესახებ დოკუმენტები	სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, IT მენეჯერი	ადამიანური რესურსი;
9	პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფის ანალიზი					+				+			თითოეული პროგრამის დაგეგმარების შესახებ დოკუმენტები	ხარისხის მართვის მენეჯერი	ადამიანური რესურსი;
10	პროგრამების განხორციელების ორგანიზება: სასწავლო გეგმები, კალენდარული გეგმების, მეთოდების, შეფასების ინსტრუმენტების ანალიზი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	შესაბამისი დოკუმენტები სასწავლო წლებისა და პროგრამების მიხედვით	სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროგრამების ხელმძღვანელები.	ადამიანური რესურსი;
11	პროფესიული სტუდენტთა შეფასების ხარისხობრივი შედეგების ანალიზი			+		+				+		+	გაწერილი ანალიზის შედეგები	ხარისხის მენეჯერი	ადამიანური რესურსი;
12	შეფასების ვერიფიკაცია-ვალიდაციის პროცესის ორგანიზება	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	გაწერილი ანალიზის შედეგები/ ოქმები.	სასწავლო პროცესის მენეჯერი	ადამიანური რესურსი;
13	პროგრამების პარტნიორი ორგანიზაციების უკუკავშირი პრაქტიული ნაწილის განხორციელების შესახებ			+	+	+				+	+		გაწერილი ანალიზის შედეგები /დემინგის ციკლის შემადგენელი/	ხარისხის მენეჯერი	ადამიანური რესურსი;

14	პროგრამების პრაქტიკული ნაწილის განხორციელების უზრუნველყოფა შესაბამის და საკმარისი რაოდენობის პარტნიორ ორგანიზაციებთან.	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	ფორმებული ხელშეკრულებები / დემინგის ანალიზის შედეგები	დირექტორი, ხარისხის მენეჯერი	ადამიანური რესურსი;
15	საჭიროების შემთხვევაში ახალი სათანამშრომლო სტრატეგიების დასახვა/ ახალი პარტნიორების მოძიება			+	+	+						+	+	ფორმებული ხელშეკრულებები	დირექტორი,	ადამიანური რესურსი;
16	პედაგოგიური პერსონალის განვითარების ღონისძიებები/ ტრენინგები/ პრეზენტაციები/ საინფორმაციო შეხვედრები			+	+							+	+	გაწერილი შესაბამისი ოქმები	სასწავლო პროცესის მენეჯერი; ხარისხის მენეჯერი	ადამიანური რესურსი;

მიზანი N 3: პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის ღონისძიებები

N	ამოცანა	განხორციელების თვეები												შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი	რესურსები	
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII				
1	სტუდენტთათვის პროფესიული ორიენტაციის/ მხარდაჭერის / კონსულტირების ღონისძიების უზრუნველყოფა			+	+		+						+		ღონისძიებების ოქმები/ ჩატარებული გამოკითხვები	სასწავლო პროცესის მენეჯერი/შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი	ადამიანური რესურსი;
2	სტუდენტური არაფორმალური ცხოვრების ხელშეწყობა, ღონისძიებების უზრუნველყოფა.			+	+		+	+					+	+	ჩანაწერები ჩატარებული ღონისძიებების შესახებ	სასწავლო პროცესის მენეჯერი	ადამიანური რესურსი; ფინანსური რესურსი
3	კვლევა პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავებულების დასაქმების მაჩვენებლების შესახებ.						+	+					+	+	ჩატარებული გამოკითხვები	სასწავლო პროცესის მენეჯერი	ადამიანური რესურსი;

4	კარიერული მომსახურების მხარდაჭერის მომსახურების უზრუნველყოფა		+	+	+	+	+	+		+	+	+	+	ჩანაწერები შესაბამისი აქტივობის შესახებ	სასწავლო პროცესის მენეჯერი	ადამიანური რესურსი;
---	--------------------------------------------------------------	--	---	---	---	---	---	---	--	---	---	---	---	-----------------------------------------	----------------------------	---------------------


სტრატეგიული მიზანი N 4: ადამიანური რესურსი

N	ამოცანა	განხორციელების თვეები												შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი	რესურსი
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII			
1	სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების ანალიზი/ მონიტორინგი/ რებრენდინგი (საჭიროების შემთხვევაში)						+							ანალიზის შედეგების შესახებ ჩანაწერი	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი	ადამიანური რესურსი;
2	სტრუქტურული ერთეულების პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობის მონიტორინგი / სამსახურებრივი აღწერილობის შესრულების მონიტორინგი						+							ანალიზის შედეგების შესახებ ჩანაწერი	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი,	ადამიანური რესურსი;
3	კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებათა უზრუნველყოფა		+	+						+	+			ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ოქმები/ ჩანაწერები	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი,	ადამიანური რესურსი;
4	ახალი პროფესიული კადრების კოლეჯში მოზიდვის უზრუნველყოფა (საჭიროების კვლების ანალიზის საფუძველზე)				+	+				+	+			მოწვეული პერსონალის შესახებ საჭიროების ანალიზი და მოწვეულთა კურიკულუმის შესახებ ინფორმაცია	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი,	ადამიანური რესურსი;
5	პერსონალის მუშაობის ეფექტურობის ანალიზი					+	+			+	+			ანალიზის შედეგების შესახებ ჩანაწერი	სასწავლო პროცესის მენეჯერი,	ადამიანური რესურსი;

6	მონიტორინგების შედეგებიდან გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ტრენინგების ორგანიზება		+					+			+			ჩატარებული კითხვარები/ ჩატარებული ტრენინგი	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი	ადამიანური რესურსი;
---	-------------------------------------------------------------------------------------	--	---	--	--	--	--	---	--	--	---	--	--	--------------------------------------------	-------------------------------------------------------	---------------------

სტრატეგიული მიზანი N 5: მატერიალური / საინფორმაციო/ ფინანსური რესურსები

N	ამოცანა	განხორციელების თვეები												შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი	რესურსი
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII			
1	სასწავლო ფართის ინფრასტრუქტურული პერიოდული განახლების/ რეაბილიტაციის უზრუნველყოფა / ინფრასტრუქტურული რებრენდინგი							+	+					შესყიდვის დოკუმენტები/ ჩატარებული სამუშაოების შესახებ ჩანაწერი/ ვიზუალური დათვალიერება	დირექტორი/ სამეურნეო კოორდინატორი	ადამიანური რესურსი;
2	სასწავლო და სამუშაო გარემოს სათანადო ინვენტარის შეფასება, საჭიროების შემთხვევაში განახლება, ახლის შესყიდვა						+	+		+				შესყიდვის დოკუმენტები/ ჩატარებული განახლების სამუშაოების შესახებ ჩანაწერი/	დირექტორი/ სამეურნეო კოორდინატორი	ადამიანური რესურსი;
3	შრომისა და სწავლის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	ანალიზის შესახებ ჩანაწერები	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი/ დირექტორი	ადამიანური რესურსი;
4	ბიბლიოთეკის და კომპიუტერული რესურსის პერმანენტული გახლება /რეაბილიტაცია				+	+	+					+		ანალიზის შესახებ ჩანაწერები	დირექტორი/ სამეურნეო კოორდინატორი	ფინანსური რესურსი



კოლეჯი „არსის“ 2020 წლის წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

2020 წლის 29 დეკემბერს შედგა საზოგადოებრივი კოლეჯი „არსის“ მრჩეველთა საბჭოს სხდომა;

დღის წერიგი: 2020 წლის 1 წლიანი განვითარების გეგმის შესრულების ანალიზი და შედეგების შეჯამება;

განვლილი წლის მუშაობა ზოგადი მიმოხილვის სახით სხდომის წინაშე შეაჯამა კოლეჯის დირექტორმა და მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ- ნათია ნოზაძემ. მან მიმოხილა განვლილი კალენდარული წლის შედეგები; პირველყოვლისა აღნიშნა 2020 წლის გლობალური გამოწვევა- კორონავირუსის პანდემია, რამაც დიდი გამოცდის წინაშე დააყენა განათლების სიტემა და განსაკუთრებით კი პროფესიული განათლება - მისი ხაზგასმულად პრაქტიკული პროფილის გამო; ნათია ნოზაძემ აღნიშნა, რომ სასწავლო წლის 1-ლი და მე-2 კვარტალი ფაქტიურად სტაგნაციის პერიოდი აღმოჩნდა კოლეჯებისთვის მისი სრული ჩაკეტვის გამო, რაც 2020 წლის 06 ივლისდან სწავლის განახლებით გაგრძელდა;

ნათია ნოზაძემ დიდი მადლობა გამოხატა კერძო კოლეჯების ასოციაციის მიმართ, რომლის წევრიცაა კოლეჯი „არსი“; ასოციაციამ უდიდესი შრომა გასწია კოლეჯების სასწავლო პროცესში პროფესიული პროგრამების დისტანციური რეჟიმისთვის ადაპტირებისთვის, რამაც მყარი საფუძველი შეუქმნა საქართველოში პროფესიული განათლების სისტემას -მათ შორის კოლეჯ „არსს“ - პანდემიურ რეალობაში გამართული ადაპტირებული პროგრამებით გადასულიყო დისტანციური სწავლების ფორმატზე;

კოლეჯის დირექტორმა- ნათია ნოზაძემ აღნიშნა, რომ კოლეჯმა „არსმა“ წარმატებით დანერგა დისტანციური სწავლების ფორმატი meet-ის პლატფორმის გამოყენებით და მიმდინარე პერიოდისთვის აბსოლუტურად შეუფერხებლად და საკმაოდ მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლით და სტუდენტთა ტექნიკური წვდომისუნარიანობით წარმატებით წარმართავს დისტანციურ სასწავლო პროცესს როგორც გრძელვადიან ფორმალურ, ასევე მოკლევადიან არაფორმალურ პროგრამებზე, რასაც მიმდინარე წლის მთავრი გამოწვევის გათვალისწინებით კოლეჯი „არსის“ მაღალ ადაპტირებისუნარიანობაზე მეტყველებს ფორსმაჟორულ სიტუაციაში;

ამის შემდეგ ნათია ნოზაძემ სიტყვა გადასცა კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს - ეთერ ჭიდიტაშვილს 1 წლიანი მუშაობის დეტალური ანალიზისთვის.

ეთერ ჭიდიტაშვილმა კიდევ ერთხელ შეახსენა საბჭოს, რომ კოლეჯი თავისი სტრატეგიული და შესაბამისად 1 წლიანი განვითარებისთვის 5 ძირითად ამოცანას ისახავს: 1.საგანმანათლებლო პროგრამები; 2. სასწავლო პროცესის ორგანიზება/განვითარება/

შიდა სტუდენტური აქტივობის ხელშეწყობა; 3. პარტნიორობა/ თანამშრომლობა/ სტუდენტის კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები; 4. ადამიანური რესურსი; 5. მატერიალური რესურსი.

სანამ პუნქტობრივ განხილვაზე გადავიდოდა, ეთერ ჭილიტაშვილმა ასევე საწყისი თვის ზოგადად მიმოიხილა წლის მუშაობა და 2020 წლის საყოველთაო უზვეულო გამოწვევის ფონზე კოლეჯი „არსის“ შედეგები და მიღწევები მიმოიხილა; მისი განცხადებით დაგეგმილი მიზნებიდან და ამოცანებიდან კოლეჯმა ფაქტიურად სასწავლო პროცესთან და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებულ ამოცანებს გაართვა თავი საკმაოდ წარმატებით; მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის მარტის პირველივე დღეებიდან ივლისამდე შეწყდა სასწავლო პროცესი და ამ მონაკვეთში არც დისტანციური სწავლება არ განხორციელდა პროფესიული განათლების სისტემაში ზოგადად, ამის მიუხედავად ივლისიდან განახლებული სასწავლო პროცესი საკმაოდ დინამიურ რეჟიმში წარიმართა, განხორციელდა მოდულების შეფასებები, სტუდენტთა და პედაგოგ-მასწავლებელთა რეიტინგული რანჟირებები, ინტენსიურად ხორციელდებოდა შეფასებების ვერიფიკაცია-ვალიდაციის პროცედურები; ჩამოყალიბდა დემინგის ციკლის საბოლოო შედეგები თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის; ასევე კოლეჯმა ამ სტაგნაციის პერიოდში მოახერხა და დაიწყო მზადება ახალი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად - „ფარმაცია /სააფთიაქო/, რომლის შესახებ დადებითი მოლოდინები აქვს კოლეჯს; დაისახა ახალი სასწავლო ფორმატის განხორციელება - მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების კუთხით და სამომავლოდ, კონკრეტულად 2021 წლისთვის კოლეჯი სწორედ ამ ფორმატის ადაპირებას საკამოდ ფართო სპექტრით გეგმავს;

რაც შეეხება პერსონალის განვითარების სტრატეგიას- კოლეჯის პედაგოგიური პერსონალი ზაფხულის პერიოდიდან აქტიურად იყო ჩართული როგორც კოლეჯების ასოციაციის მიერ ორგანიზებულ პროგრამების გადისტანციურების შემუშავებაში, ასევე შემდგომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებულ შეფასების ინტრუმენტების ერთიანი ბაზის შექმნის პროცესში - რაც სწორედ პედაგოგიური // ადამიანური რესურსის განვითარებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო; რაც შეეხება ადმინისტრაციულ რესურსს- დეკემბრის თვეში კოლეჯის ადმინისტრაციის 2 ხელმძღვანელი პირი ჩაერთო „საქართველოს ბიზნესის აკადემიის“ მომზადება-გადამზადების მოკლევადიან პროგრამებზე, ასევე ამავე გადამზადების პროგრამებზე პროფილური პროგრამის კუთხით დარეგისტრირდა და შეუდგა სწავლას კოლეჯის 2 პროფესიული პედაგოგი;

აქტივობის კუთხით - ამ პროფილში ეთერ ჭილიტაშვილი საკმაოდ კარგ მანიშნებელს ხედავს, რომ კოლეჯმა პანდემიური სიტუაციის მიუხედავად საკამოდ აქტიურად და წარმატებით განაგრძო როგორც საგანმანათლებლო პროცესი, ასევე პერსონალის განვითარება-გადამზადების აქტივობა;

ასევე წარმატებით განახორციელა ინფრასტრუქტურული პროექტები: კოლეჯმა ჩაატარა როგორც შიდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები: მოაწყო ლაბორატორია- სრული საინვენტარო აღჭურვილობით, გააუმჯობესა სველი წერტილების ინფრასტრუქტურა, ასევე სრულად შეასრულა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველი ორგანოს მიერ გაცემული რეკომენდაციები და კოლეჯის სრული პერიმეტრი აღჭურვა ვიდეოკამერებით, მანათობელი გასასვლელი პიქტოგრამებით, ავარიული განათებებით, სიგნალიზიის მოწყობილობით- რაც საკმაოდ სოლიდურ ფინანსურ რესურსს საჭიროებდა და ასევე აღსანიშნავია რომ კოლეჯმა ამგვარ ფინანსურ დატვირთვასაც წარმატებით გაართვა თავი კვალვ პანდემიური სტაგნაციის პირობების მიუხედავად; (ფინანსური მდგრადობის სადემონსტრაციოდ უნდა აღინიშნოს ზემოდასახელებულთა პარალელურად კოლეჯის მიერ თავისი ფინანსური ვალდებულების შესრულება გრძელვადიანი და მოკლევადიანი პროგრამების დამატებისთვის განაცხადების წარდგენა-განხილვის პროცედურებისთვის), რაც ხარისხის მენეჯერის კუთხით კოლეჯს ახასიათებს არა მარტო როგორც აქტიურ ორგანიზაციას, არამედ როგორც სტაბილურს და მდგრადს ფორსმაჟორული გამოწვევების პირობებშიც კი.

ეს შეფასება ერთხმად გაიზიარა მრჩეველთა საბჭოს ყველა წევრმა და კოლეჯის სტაბილურობას და მის ფინანსურ მდგრადობას მაღალი შეფასება მისცეს.

ეთერ ჭილიტაშვილმა ამის შემდეგ სუსტად წარმართული აქტივობები მიმოიხილა; მან განაცხადა რომ ზოგად ჭრილში თუ წარმოადგენს-სუსტად განხორციელებული აქტივობები 2 მიმართულებით ფიქსირდება: 1. სტუდენტთა აქტივობის ხელშეწყობა; 2. ახალი სოციალური პარტნიორების მოძიების და ხელშეკრულებების გაფორმების კუთხით;

თითოეული დასახული ამოცანის შესრულების შედეგები გამოიყურება ამგვარად;

1. **სამოქმედო მიზანი N 1: საგანმანათლებლო პროგრამები:** დასახული იყო 7 ამოცანა, რაც ძირითად მონახაზში ითვალისწინებდა SWOT ანალიზის ახალი შედეგების მიღებას და მათ სამოქმედო გეგმაში ასახვას, პროგრამების გაუმჯობესების დაგეგმარებას დემინგისციკლის მიხედვით, ახალი გრძელვადიანი / სადიპლომო/ და მოკლევადიანი პროგრამების ინიცირებას, ბაზრის კვლევას პროგრამების მოთხოვნადობის შესახებ და ახალი სასწავლო წლის დაგეგმარებას დემინგის ციკლის შესაბამისად.

ეთერ ჭილიტაშვილმა გამოთქვა თვალსაზრისი, რომ 1 სამოქმედო მიზანი არის საკმაოდ კარგად შესრულებული - კერძოდ, SWOT დაგეგმარების ინსტრუმენტების დახვეწა, საკმაოდ მომცველობითი გამოკითხვების ჩატარება, რეალური სურათის ადეკვატური SWOT ანალიზის შედგენა, მე-5 ამოცანით გათვალისწინებული აქტივობა- ახალი მოკლევადიანი პროგრამის ინიცირება - გამოკითხვებით დადსტურდა, რომ იგი საკმაოდ მოთხოვნადი იქნება სამომავლოდ;

მთლიანობაში 1 სამოქმედო მიზანი- საგანმანათლებლო პროგრამები - კარგი შედეგით შეიძლება შეფასდეს.

N	ამოცანა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	შესრულების ინდიკატორი	რესურსები	შესრულების მაჩვენებელი
1	SWOT დაგეგმარების წინა წლის ანალიზი და ახალი SWOT დაგეგმარების მექანიზმების დახვეწა	სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, მრჩეველთა საბჭო	გაწერილი ოქმები	ადმინისტრაციული რესურსი	შესრულდა – არის შესაბამისი ოქმები/ დოკუმენტაცია
2	ახალი SWOT ანალიზის შედგენა	სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, მრჩეველთა საბჭო	გაწერილი ოქმები	ადმინისტრაციული რესურსი	შესრულდა – არის შესაბამისი ოქმები/ დოკუმენტაცია
3	არსებული პროგრამების დემინგის ციკლის მიხედვით ანალიზი	ხარისხის მართვის მენეჯერი,	გაწერილი ანალიზი	ადმინისტრაციული რესურსი	შესრულდა – არის შესაბამისი ოქმები/ დოკუმენტაცია

4	ახალი პროგრამის ინიცირება (ფარმაცია /სააფთიაქო)	სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი,	ხარისხისცენტრში წარდგენილი პროგრამები	ადმინისტრაციული რესურსი	შესრულდა მოხდა სააფთიაქოს პროგრამის ინიცირება
5	ახალი მოკლევადიანი სასერთიფიკატო პროგრამების ინიცირება	დირექტორი	მოქმედი პროგრამების შესახებ დოკუმენტები	ადმინისტრაციული რესურსი	შესრულდა – მოხდა მოკლევადიანი პროგრამის ინიცირება
6	დემინიგის შედეგების ანალიზის მიხედვით - ახალი სასწავლო წლისთვის სასწავლო გეგმების მოდიფიფიცირების დაგეგმვა და ახალი სამოქმედო გეგმის შედგენა	სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, შიდა მხარდაჭერის ჯგუფი	გაწერილი ოქმები	ადმინისტრაციული რესურსი	შესრულდა – არის შესაბამისი ოქმები/ დოკუმენტაცია
7	ბაზრის კვლევა არსებული პროგრამების მოთხოვნადობის შესახებ	ხარისხის მართვის მენეჯერი,	გაწერილი ოქმები	ადმინისტრაციული რესურსი	შესრულდა – არის შესაბამისი დოკუმენტები

სამოქმედო მიზანი N 2: სასწავლო პროცესის ორგანიზება/განვითარება/შიდა სტუდენტურიაქტივობების ხელშეწყობა : დასახული იყო 14 ამოცანა, ამ მიზნის შესრულებას კოლეჯ „არსში“ ყველაზე მეტი ყურადღება, დრო და რესურსი ეთმობა, ამიტომ საუკეთესოდ სრულდება ტრადიციულად; 14 ამოცანიდან 11 არის სრულად შესრულებული; მხოლოდ მე-12 და მე-13 პუნქტების შესრულებაში იყო ჩავარდნა; კერძოდ- მე-13 პუნქტი- კონფერენცია მასშტაბური ფორმატით ვერ შესრულდა - პანდემიური სიტუაციის გამო, ჩატარდა მხოლოდ თემატური პრეზენტაციები დისტანციური ფორმატით; რაც შეეხება მე-12 პუნქტს - საკმაოდ სუსტად ჩატარდა პროფორიენტაციული ღონისძიებები, ძირითადად სოციალალური ქსელების საშუალებით და დისტანციური ფორმატით ასევე; ხოლო რაც შეეხება- მე-14 პუნქტს- სტუდენტური აქტივობები ფაქტიურად ვერ დაიგეგმა სასწავლო პროცესის ახალი დისტანციური ფორმატის და შესაბამისად ე.წ. „ფორს-მაჟორული სიტუაციის“ გამო.

საბოლოოდ - 14 ამოცანიდან 11 სრულად არის შესრულებული და ეს მაინც საკმაოდ კარგი შედეგია.

N	ამოცანა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	შესრულების ინდიკატორი	რესურსები	შესრულების მაჩვენებელი
---	---------	--------------------------	-----------------------	-----------	------------------------

1	ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობის განხორციელება	ვერიფიკაციის ჯგუფი	გაწერილი ოქმები	ადმინისტრაციული რესურსი	შესრულდა – არის შესაბამისი ოქმები/
2	შიდა მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება	შიდა მხარდაჭერის ჯგუფი	გაწერილი სამოქმედო გეგმა	ადმინისტრაციული რესურსი	შესრულდა – არის შესაბამისი ოქმები/ დოკუმენტაცია
3	სასწავლო პროცესის პერმანენტული მონიტორინგი და შეფასება	სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი,	დოკუმენტირებული მონიტორინგის და შეფასების ანალიზები	ადმინისტრაციული რესურსი	შესრულდა – არის შესაბამისი ოქმები/ დოკუმენტაცია
4	დასწრებების და განმავითარებელი შეფასებების განხორციელება მონიტორინგი	სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი,	დასწრებების შესახებ დოკუმენტები	ადმინისტრაციული რესურსი	შესრულდა – არის შესაბამისი ოქმები/ დოკუმენტაცია
5	კალენდარული თმატიკის კვირობრივი დატვირთვის ადეკვატურობის მონიტორინგი და ანალიზი არსებულ რეალობის გამოწვევებთან	სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი,	ანალიზის შესახებ დოკუმენტები	ადმინისტრაციული რესურსი	შესრულდა – არის შესაბამისი დასკვნები
6	სწავლების მეთოდების მონიტორინგი	სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი,	მონიტორინგის შესახებ დოკუმენტები	ადმინისტრაციული რესურსი	შესრულდა – არის შესაბამისი ოქმები/ დოკუმენტაცია
7	მასწავლებელთა ტრენინგის მიმართულების საჭიროების გამოკვეთა	სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი,	გამოკითხვის შესახებ დოკუმენტები	ადმინისტრაციული რესურსი	შესრულდა – არის შესაბამისი დასკვნა
8	პროგრამების განვითარების მიზნისთვის - ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ მოდულის	სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი,	განხორციელებული შეფასების დოკუმენტები	ადმინისტრაციული რესურსი	შესრულდა – არის შესაბამისი ოქმები/ დოკუმენტაცია

	განხორც კითხვარების ორგანიზება და ანალიზი;				
9	შეფასების ინსტრუმენტების მოდულთან შესაბამისობის ვალიდაციის პროცესის ორგანიზება	სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი,	ანალიზის შესახებ დოკუმენტი	ადმინისტრაციული რესურსი	შესრულდა – არის შესაბამისი ოქმები/ დოკუმენტაცია
10	სტუდენტთა სასწავლო მიღწევების ანალიზი	სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი,	ანალიზის შესახებ დოკუმენტი	ადმინისტრაციული რესურსი	შესრულდა – არის შესაბამისი ოქმები/ დოკუმენტაცია
11	პედაგოგთა რეიტინგები და შედეგის ანალიზი	სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი,	ანალიზის შესახებ დოკუმენტი	ადმინისტრაციული რესურსი	შესრულდა – არის შესაბამისი ოქმები/ დოკუმენტაცია
12	პროფორიენტაციული ლონისძიებების ორგანიზება	სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი,	ლონისძიების შესახებ ანგარიში	ადმინისტრაციული რესურსი	მასშტაბური ფორმატით ვერ შესრულდა - პანდემიის გამო
13	სტუნდენტური კონფერენციის ორგანიზება	დირექტორი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი,	ლონისძიების შესახებ ანგარიში	ადმინისტრაციული რესურსი	მასშტაბური ფორმატით ვერ შესრულდა - პანდემიის გამო
14	სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობა	სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი,	ინიციატივათა შესახებ ანგარიში	ადმინისტრაციული რესურსი	ვერ შესრულდა პანდემიის გამო.

სამოქმედო მიზანი N 3: კარტნიორობა/თანამშრომლობა /სტუდენტის კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები- დასახული იყო 5 ამოცანა; რომელთაგან შესრულდა ყველა მათგანი გარდა მე-2 და მე3 ამოცანებისა; ეს ამოცანები მხოლოდ პანდემიის მიზეზით ვერ შესრულდა, მაგრამ სამომავლოდ აუცილებლად კოლეჯის რესურსი აქტიურად იქნება ამ მიმართულებით მობილიზებული.

N	ამოცანა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	შესრულების ინდიკატორი	რესურსები	შესრულების მაჩვენებელი
1	არსებულ სოციალურ პარტნიორებთან თანამშრომლობის შეფასება/ ანალიზი	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, დირექტორი	ჩატარებული გამოკითხვები	კოლეჯის სოციალურ პარტნიორებთან თანამშრომლობის მაღალი ხარისხი	შესრულდა – არის შესაბამისი დასკვნები.
2	ახალი სათანამშრომლო სტრატეგიების დასახვა	დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი	შემუშავებული გეგმა	კოლეჯის მაღალი სანდოობის ხარისხი ქალაქის მასშტაბით	ვერ შესრულდა პანდემიის გამო
3	ახალი პარტნიორების მოძიება მოდიფიცირებული პროგრამების ფორმატში	დირექტორი	გაფორმებული მემორანდუმები	კოლეჯის მაღალი სანდოობის ხარისხი ქალაქის მასშტაბით	ვერ შესრულდა პანდემიის გამო
4	მემორანდუმების გაფორმება სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობისთვის	დირექტორი	გაფორმებული მემორანდუმები	კოლეჯის კურსდამთავრებულთა მაღალი პროფესიონალიზმი	გაფორმდა მოკლევადიანი პროგრამებისთვის
5	სტუდენტთა სწავლის შემდგომი დასაქმების სტატისტიკური მონაცემების მოკრება- შედეგების ანალიზი.	სასწავლო პროცესის მენეჯერი	ჩატარებული გამოკითხვები	სტუდენტთა საკონტაქტო ბაზა	შესრულდა – არის შესაბამისი დასკვნები!

სამოქმედო მიზანი N 4: ადამიანური რესურსი - დასახული იყო 4 ამოცანა; - რომელთაგან 4-ვე სრულად შესრულდა;

N	ამოცანა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	შესრულების ინდიკატორი	რესურსები	შესრულების მაჩვენებელი
1	კოლეჯის მიერ ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების გაწერა	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, დირექტორი	გაწრილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები	კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის ინტელექტუალური რესურსი	შესრულდა – არის შესაბამისი დოკუმენტაცია
2	ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის საკმარისობის კრიტერიუმების დადგენა / საშტატო განრიგის სქემა/	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, დირექტორი	გაწერილი კრიტერიუმები და საშტატო განრიგის სქემა	კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის ინტელექტუალური რესურსი	შესრულდა – არის შესაბამისი დოკუმენტაცია
3	პედაგოგიური პერსონალის საკმარისობის კრიტერიუმების დადგენა	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, დირექტორი	გაწერილი კრიტერიუმები	კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის ინტელექტუალური რესურსი	შესრულდა – არის შესაბამისი დოკუმენტაცია
4	მონიტორინგების შედეგებიდან გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ტრენინგების ორგანიზება	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი	ჩატარებული კითხვარები/ ჩატარებული ტრენინგი	კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის ინტელექტუალური რესურსი/ მოწვეული ტრენერი	ჩატარდა - არის შესაბამისი ოქმები.

სამოქმედო მიზანი N 5: მატერიალური რესურსი - ამ მიზნის შესრულებისთვის დაიგეგმა 6 ამოცანა; რომელთაგან ყველა მათგანი წარმატებით შესრულდა.

N	ამოცანა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	შესრულების ინდიკატორი	რესურსები	შესრულების მაჩვენებელი
1	ბიბლიოთეკის ფონდის შევსება პროგრამების განახლების მოთხოვნების შესაბამისად	დირექტორი, ბიბლიოთეკარი	შესყიდვის დოკუმენტები	კოლეჯის ფინანსური რესურსი	შესრულდა – არის შესაბამისი დოკუმენტაცია

2	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების გადაადგილებისთვის კოლეჯში არსებული პანდუსების გაუმჯობესება	დირექტორი, სამეურნეო მენეჯერი	ვიზუალური დათვალიერება	კოლეჯის ფინანსური რესურსი	შესრულდა – არის შესაბამისი ვიზუალური მასალა
3	კოლეჯის შიდა პერიმეტრის ვიდეოკამერებით აღჭურვა	დირექტორი, სამეურნეო მენეჯერი	შესყიდვის დიკუმენტები, ვიზუალური დათვალიერება	კოლეჯის ფინანსური რესურსი	შესრულდა – არის შესაბამისი ვიზუალური მასალა
4	ახალი სამიზნე საგანმანათლებლო პროგრამისთვის - „სააფთიაქო საქმე“ - ლაბორატორიული კაბინეტის მოწყობა	დირექტორი, სამეურნეო მენეჯერი	შესყიდვის დიკუმენტები, ვიზუალური დათვალიერება	კოლეჯის ფინანსური რესურსი	შესრულდა.
5	კოლეჯის კომპიუტერული რესურსის განახლება	დირექტორი, სამეურნეო მენეჯერი	შესყიდვის დიკუმენტები, ვიზუალური დათვალიერება	კოლეჯის ფინანსური რესურსი	შესრულდა – არის შესაბამისი დოკუმენტაცია
6	ინფრასტრუქტურული ღონისძიებების- სარემონტო სამუშაოების ორგანიზება	დირექტორი, სამეურნეო მენეჯერი	შესყიდვის დიკუმენტები, ვიზუალური დათვალიერება	კოლეჯის ფინანსური რესურსი	შესრულდა – არის შესაბამისი დოკუმენტაცია

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კოლეჯმა დაისახა აბსოლუტურად რეალისტური გეგმები, რომელთა უმრავლესობა წარმატებით შეასრულა; დაჯამებული სახით კოლეჯმა დაისახა 5 სტრატეგიული მიზანი, რომლის შესასრულებლად 36 მიზანი დაისახა; რომელთაგან კოლეჯმა წარმატებით შეასრულა - 33, ხოლო 3 ამოცანა ვერ განახორციელა.

დასკვნის სახით კოლეჯი „არსის“ ხარისხის მართვის მენეჯერმა განაცხადა, რომ კოლეჯი „არსის“ აქტივობა პანდემიური სტაგნაციის მიუხედავად მაინც წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან კოლეჯმა თავისი ქმედუნარიანობა ფორსმაჟრულ სიტუაციაში თვალსაჩინოდ დაადასტურა, კოლეჯმა არათუ შეასუსტა თავისი აქტივობა, არამედ უფრო აქტიურად წარმართა და ახალი სამოქმედო ასპარეზები დაუსახა საკუთარ თავს - წარმატებით გადაეწყო- ახალ, დისტანციურ ფორმატზე, სრულად მოახერხა სასწავლო გეგმების და მოდულების ადაპტირება დისტანციური ფორმატისთვის, დაისახა ახალი მიზნები და ამ მიზნების შესრულებისთვის აქტიური ღონისძიებები გაატარა.

